



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

**საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური
ობსერვატორიის დირექტორის**

ბრძანება № 03-04/04

ქ. თბილისი

29.04.2021 წ.

განსაკუთრებულ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოში ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გართულების გამო, სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნულ ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში (შემდეგში - „ობსერვატორია“, მდებარე: ადიგენის რაიონი, დაბა აბასთუმანი, მთა ყანობილი, აგრეთვე, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №47/50, მე-5 სართული) ვირუსის შესაძლო გავრცელების თავიდან აცილების, თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შენარჩუნების მიზნით, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების, „სამუშაო ადგილზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების, ასევე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 ნოემბრის №227/ნ ბრძანებით დამტკიცებული ობსერვატორიის წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ და „პ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დადგინდეს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე გამოცხადებისა და სამუშაოს შესრულების რეჟიმთან დაკავშირებით ობსერვატორიის დირექტორის 2019 წლის 26 ნოემბრის N03-04/03 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესისაგან, ასევე, ობსერვატორიაში შესვლისა და გადაადგილების პირობებთან დაკავშირებით ობსერვატორიის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის N03-04/03 ბრძანებით დადგენილი პირობებისაგან განსხვავებული რეგულაციები, წინამდებარე ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. მხედველობაში იქნას მიღებული, რომ წინამდებარე ბრძანებით დადგენილი რეგულაციები წარმოადგენენ დროებით ღონისძიებას.

3. წინამდებარე ბრძანების მოქმედების განმავლობაში ძალაშია „სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის ტერიტორიაზე უცხო პირთა შესვლისა და გადაადგილების პირობების დამტკიცების შესახებ“ 2020 წლის 29 მაისის №03-04/03 და „შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ 2019 წლის 26 ნოემბრის N03-04/03 ობსერვატორიის დირექტორის ბრძანებების მოქმედება, წინამდებარე ბრძანებით დადგენილი თავისებურებების გათვალისწინებით.
4. განისაზღვრონ, შესაბამის სამუშაო ადგილებზე, ბრძანების აღსრულებაზე პასუხისმგებელ პირებად (უფლებამოსილი პირი) მთავარი ასტრონომ-მენეჯერი, ვ. ყულიჯანიშვილი (მთა ყანობილი) და ობსერვატორიის დირექტორის მოადგილე, ბ. ჩარგეიშვილი (თბილისი, მ. კოსტავას ქ. №47/50, მე-5 სართული).
5. დაევალოს ობსერვატორიის დირექტორის თანაშემწეს (ე. დოხნაძე) და საქმისწარმოებისა და არქივის სპეციალისტს (თ. მერაბიშვილი) წინამდებარე ბრძანების საჯაროდ გამოცხადება: ობსერვატორიის თანამშრომელთა და ობსერვატორიაში (მთა ყანობილზე) სტუმრობით დაინტერესებულ პირთა ინფორმირება, ობსერვატორიის შენობებში თვალსაჩინო ადგილზე გამოქვეყნება და ინფორმაციის ობსერვატორიის ვებ-გვერდზე (www.abao.ge) განთავსება.
6. დაევალოს სამეურნეო და ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის დეპარტამენტს (თ. ბარბლიშვილი) უზრუნველყოს ობსერვატორიაში, მთა ყანობილზე შემსვლელ პირთა რეგულარული თერმოსკრინინგი.
7. ბრძანება ძალაშია 2021 წლის 5 მაისიდან 31 აგვისტოს ჩათვლით.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დ ი რ ე კ ტ ო რ ი



რევაზ ჭანიშვილი

მუხლი 1. ობსერვატორიაში შესვლისა და გადაადგილების პირობები

1. აკრძალულია ობსერვატორიის ტერიტორიაზე (მთა ყანობილი) უცხო პირთა (პირები, რომლებიც ობსერვატორიაში არ არიან დასაქმებულნი) შესვლა და გადაადგილება. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება იმ თანამშრომლის ოჯახის წევრზე, რომელიც უკანასკნელი, მინიმუმ 1 თვის განმავლობაში იმყოფება ამ თანამშრომელზე განპიროვნებულ ბინაში.
2. თანამშრომლებს, რომელთა ძირითად სამუშაო ადგილს წარმოადგენს ობსერვატორიის თბილისის ოფისი, რეკომენდაცია ეძლევათ მაქსიმალურად თავი შეიკავონ ობსერვატორიაში (მთა ყანობილზე) ვიზიტებისგან. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ ობსერვატორიის დირექტორის თანხმობით, სამსახურეობრივი ან სხვა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში. ამისათვისაც თანამშრომელმა ობსერვატორიის დირექტორს უნდა წარუდგინოს მოხსენებითი ბარათი, ვიზიტის მიზეზის და ვადის მითითებით. ასეთი თანხმობის გარეშე პირი ობსერვატორიაში (მთა ყანობილზე) არ დაიშვება.
3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების გათვალისწინებით, ობსერვატორიის თანამშრომლის ოჯახის წევრის სტუმრობისთვის ამ თანამშრომელზე განპიროვნებულ ბინაში, სავალდებულოა შესაბამისმა თანამშრომელმა მოხსენებითი ბარათით მიმართოს დირექტორს სტუმრის (ოჯახის წევრის) ვინაობის და სტუმრობის ვადის მითითებით. ობსერვატორიის დირექტორის თანხმობის გარეშე სტუმარი (ოჯახის წევრი) ობსერვატორიაში არ დაიშვება.
4. შეიზღუდოს სამსახურეობრივი მივლინებები, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, ობსერვატორიის დირექტორის გადაწყვეტილებით.
5. ობსერვატორიაში მყოფი ან ობსერვატორიის ტერიტორიაზე შესვლის სურვილის მქონე ნებისმიერი პირი ვალდებულია დაემორჩილოს ადმინისტრაციის/უფლებამოსილი პირის და ობსერვატორიის დაცვის თანამშრომლის კანონიერ მითითებებს.
6. წინამდებარე პირობების დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, ობსერვატორია უფლებამოსილია დამრღვევი პირის მიმართ გაატაროს საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული ყველა საჭირო ღონისძიება, მათ შორის განახორციელოს სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირება.

მუხლი 2. სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულება

1. სავალდებულოა ობსერვატორიაში პირმა დაიცვას ჯანმრთელობის დაცვის პროტოკოლები, რეკომენდაციები და ჰიგიენის წესები, რომლებიც დადგენილია/რეკომენდებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ (<https://stopcov.ge>).
2. ობსერვატორიის თანამშრომლებს ეძლევათ რეკომენდაცია იმუშაონ დისტანციურ რეჟიმში. ამასთან, გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებები სამუშაოს შესრულების ანგარიშგებისა და სხვადასხვა შეხვედრებში მონაწილეობის მისაღებად.

3. დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლა არ ნიშნავს სამუშაო საათების შემცირებას ან თანამშრომელთა შვებულებაში ყოფნას. საჭიროების შემთხვევაში, დისტანციურ სამუშაო რეჟიმში გადასული თანამშრომელი სამსახურში უნდა გამოცხადდეს მოთხოვნისთანავე, გონივრულ ვადაში. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ამ რეჟიმში მომუშავე თანამშრომლებს ეძლევათ შრომის ანაზღაურება, დადგენილი წესის შესაბამისად.
4. სამუშაო ადგილზე 15 კალენდარული დღის განმავლობაში არ გამოცხადდეს ის თანამშრომელი:
 - ა) რომელსაც კონტაქტი ჰქონდა პირთან, რომელსაც დაუდასტურდა ახალი კორონავირუსი (COVID-19) ან აღნიშნულის დასადგენად უტარდება ჯანმრთელობის მდგომარეობის კვლევა (ვიდრე არ დადგინდება უარყოფითი პასუხი);
 - ბ) აქვს ახალი კორონავირუსისთვის (COVID-19) დამახასიათებელი სიმპტომები, რა დროსაც გადაუდებლად უნდა მიმართოს ექიმს.
5. სავალდებულოა თანამშრომელმა მე-4 პუნქტში განსაზღვრულ ორივე შემთხვევაში სამსახურში გამოუცხადებლობის მიზეზი ან რისკ ჯგუფში შემავალ პირთან კონტაქტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს უშუალო ხელმძღვანელს და დაუყოვნებლივ გადავიდეს თვითიზოლაციის რეჟიმში;
6. ობსერვატორიაში დაავადების სიმპტომის გამოვლენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს დაავადებული პირის იზოლაცია, ამასთან, განხორციელდეს ობსერვატორიის დირექტორის ინფორმირება;
7. ობსერვატორიაში ახალი კორონავირუსის (COVID-19) აღმოჩენის/გამოვლენის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში ობსერვატორიის დირექტორი უფლებამოსილია შესაბამის უწყებებთან კონსულტაციით, საჭიროების შემთხვევაში გამოაცხადოს კარანტინი.